კოლეჯ „აისის“ მომზადება-გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში

შინაარსი

შესავალი....2
კვლევის მიზნები....2
კვლევის ამოცანები....3
კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური მხარე....4
კვლევის სამიზნე ჯგუფი....4
გამოკითხვის შედეგები პროგრამების მიხედვით....5
დემოგრაფიული მონაცემები....6
პროფესიული მომზადების პროგრამის შეფასება 11
კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მიმართ....12
სწავლისას მიღებული კომპეტენციების შეფასება....13
სწავლით ზოგადი კმაყოფილების შეფასება....13
კურსდამთავრებულთა სამუშაოს მახასიათებლები....15
ანაზღაურება 19
კურსდამთავრებულთა შემდგომი გეგმები....22
დასკვნა....27

შესავალი

კვლევა ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა იმისთვის, რომ შევაფასოთ საგანმანათლებლო პროგრამების გრძელვადიანი შედეგიანობა. მისი მეშვეობით შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, რაც გვაძლევს საშუალებას რეალურად დავინახოთ სწავლების გავლენა.

კვლევა გვთავაზობს დეტალურ ინფორმაციას მსმენელთა პროფესიული წინსვლის შესახებ – როგორ განვითარდნენ კარიერულად, განაგრძეს თუ არა სწავლა, როგორია მათი დასაქმების სტატუსი ან თვითდასაქმების გამოცდილება.

მონაცემების ბაზაში თავმოყრილია როგორც ფაქტობრივი ინფორმაცია მსმენელებზე, ისე მათი პირადი შეფასებები და დამოკიდებულებები, რაც მნიშვნელოვანია მონაცემების სიღრმისეულად გასაანალიზებლად.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს კოლეჯ „აისის“ მომზადებისა და გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა შედეგების ფართო ანალიზს. დოკუმენტში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ტენდენციები – დასაქმების მაჩვენებლები, სწავლის პროცესით კმაყოფილება და კარიერული წინსვლის სურათი. კვლევის შედეგები გადმოცემულია თვალსაჩინო გრაფიკებისა და ცხრილების მეშვეობით, რომლებიც ტექსტურ ანალიზთან ერთად ქმნის ინფორმაციის მთლიან და ადვილად გასაგებ ინტერპრეტაციას, რაც ამარტივებს ძირითადი დასკვნების გამოტანას.

კვლევის მიზნები

კვლევა ორი მთავარი მიზნის მიღწევას ისახავს:

- პირველ რიგში, შეისწავლის, როგორ ვითარდება კოლეჯ „აისის“ მომზადება-გადამზადების პროგრამების მსმენელთა პროფესიული ცხოვრება სწავლის დასრულების შემდეგ;
- მეორე მხრივ, აფასებს კოლეჯის მიერ განხორციელებულ საქმიანობას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

კვლევა იძლევა ღირებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობს სასწავლო გარემო, რესურსები და სხვადასხვა კომპონენტი , როგორებიცაა პედაგოგები, გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა — სწავლის შედეგებზე თითოეულ პროგრამაში.

მიღებული მონაცემები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული პროგრამების გაუმჯობესებისთვის, არამედ მთლიანად კოლეჯის, პროფესიული განათლების სექტორისა და შრომის ბაზრის განვითარების პროცესისთვის.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება პროფესიული განათლების ხარისხის ყოვლისმომცველი შეფასება და სამომავლო სტრატეგიის საფუძვლიანი დაგეგმვა.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზანია იმ ძირითადი საკითხების სიღრმისეულად შესწავლა, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ხარისხისა და ეფექტიანობის გასაზრდელად. კვლევა ფარავს შემდეგ მიმართულებებს:

1. შეაფასოს, რამდენად შედეგიანია პროფესიულ სასწავლებელთან მსმენელთა კავშირი და კომუნიკაცია;
2. განსაზღვროს, რამდენად შესაბამისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და რამდენად აკმაყოფილებს ისინი ხარისხის სტანდარტებს;
3. გააანალიზოს კურსის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და მისი გავლენა პროფესიულ განვითარებაზე;
4. შეაფასოს სწავლების პირობები, მათ შორის ინფრასტრუქტურა, რესურსები და სასწავლო პროცესის ორგანიზება;
5. დაადგინოს, რამდენად ეფექტურად შეიძინეს სტუდენტებმა პროფესიული კომპეტენციები სასწავლო პროგრამის ფარგლებში;
6. გაარკვიოს საერთო კმაყოფილების დონე პროფესიული პროგრამის მიმართ;
7. შეაფასოს, რამდენად ეფექტიანად მუშაობს სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა

პროგრამის განხორციელების პროცესში;

8. შეისწავლოს მსმენელთა შემდგომი პროფესიული გზები — დაწყებული დასაქმებითა და თვითდასაქმებით, დამთავრებული სტაჟირებითა და განათლების გაგრძელებით;
9. განსაზღვროს მსმენელთა ზოგადი კმაყოფილება და მათი მოლოდინები მომავლის მიმართ.

კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური მხარე

კვლევის განხორციელება მოხდა პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს მნიშვნელოვანი თანადგომით. პროცესის ფარგლებში კოლეჯ „აისის“ შიდა ადამიანური რესურსი ეფექტურად იქნა მობილიზებული. პროექტის კოორდინაცია და ზედამხედველობა იწარმოებოდა კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის და ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული კოლეჯის სხვა თანამშრომლებიც, რაც განაპირობებდა სამუშაოების ორგანიზებულად და შეთანხმებულად წარმართვას.

მონაცემების შეგროვება ხორციელდებოდა სპეციალურად შემუშავებული, მეთოდურად გამართული სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. აღნიშნული კითხვარი ინტეგრირებული იყო პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილ ინოვაციურ ელექტრონულ პლატფორმაზე. კურსდამთავრებულებს ჰქონდათ შესაძლებლობა მასზე წვდომის მოქნილი ფორმები — როგორც კომპიუტერიდან, ასევე მობილური მოწყობილობებიდან, რაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კვლევაში მაღალი მონაწილეობის მიღწევას.

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა კოლეჯ „აისის“ და მისი ფილიალების მომზადების პროგრამის იმ მსმენელთა რაოდენობით, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს პროგრამა და მოიპოვეს შესაბამისი სერთიფიკატები.

2023 წელს სერთიფიკატები გადაეცა სსიპ კოლეჯ „აისის“ 13 პროფესიული მომზადების პროგრამის 217 მსმენელს.

გამოკითხვის შედეგები პროგრამების მიხედვით

საბოლოოდ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯ „აისის“ 209 კურსდამთავრებულმა, ანუ საერთო რაოდენობის 96.3%-მა. 8 კურსდამთავრებული კვლევაში არ ჩაერთო.



პროფესიული პროგრამების მიხედვით კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა პროცენტულად ასე გამოიყურება:

N	პროგრამა	გამოკითხულთა რაოდენობა	გამოსაკითხთა ჯამური რაოდენობა	გამოპასუხების %
1.	ელექტრონული მონტაჟი და უსაფრთხოება	26	28	92.9%
2.	თმის შეჭრა, შეღებვა და ვარცხნილობების გაკეთება	23	24	95.8%
3.	ტყის აღდგენა-გაშენება	14	15	93.3%
4.	ქართული და უცხოური კერძების მომზადება	39	43	90.7%
5.	ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით	10	10	100%

6.	მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთობათა დამზადება	12	12	100%
7.	მსუბუქი ავტომობილის სამუხრუჭე, დაკიდების სისტემისა და საჭით მართვის მექანიზმების სერვისი	12	12	100%
8.	სერვისი და სერვირება	15	15	100%
9.	სხვადასხვა სახის ხილისგან წვენების წარმოება	12	12	100%
10	ფუტკრის მოვლა-პატრონობა	7	7	100%
11	ხე-ტყის დამზადება	12	12	100%
12	ხელით ელექტრორკალური შედუღება	12	12	100%
13	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება	15	15	100%

დემოგრაფიული მონაცემები

კითხვაზე თუ რა იყო პროფესიული პროგრამის კურსის დასრულებამდე მიღწეული განათლების უმაღლესი საფეხური შედეგები ასე გადანაწილდა: 42.7% საშუალო განათლება, 23.3% უმაღლესი განათლება(ბაკალავრი), 9.7 საბაზო განათლება (1-9 კლასი), პროფესიული განათლება 16.5%, უმაღლესი განათლება (მაგისტრი) 7.3%

გთხოვთ, ჩამოთვლილთაგან მონიშნოთ პროფესიული პროგრამის კურსის დასრულებამდე რა იყო თქვენ მიერ მიღწეული განათლების უმაღლესი საფეხური.



რაც შეეხება ეთნიკურ წარმომავლობას 99% საქართველოს მოქალაქე იყო ხოლო. 1% სომეხი



კოლეჯში სწავლის პერიოდში საცხოვრებელი არეალის მიხედვით კახეთში ცხოვრობდა 81.9%, თბილისში 16.1% მცხეთა-მთიანეთში 0.5% ხოლო 1% შიდა ქართლში



რაც შეეხება, მსმენელთა სტატუსებს, შესაძლებლობის შეზღუდვისა და სოციალური კუთვნილების მიხედვით, გამოკითხვის პერიოდში შემდეგნაირად გადანაწილდა: კვლევაში მონაწილე მსმენელთა (4.85%), აღმოჩნდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი, სოციალურად დაუცველი პირის სტატუსით კი სარგებლობდა 15 (7.28%) მსმენელი. ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირი იყო 4, (1.94%), მაღალ მთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი 12,(5.83%), თავშესაფრის მაძიებელი 1 (0.5%), ე.წ ადმინისტრაციულ საზღვართან მცხოვრები პირი 3 (1,49%)



სტატისტიკა თემისთვის: პროფესიული მომზადების პროგრამა

პროფესიული მომზადების პროგრამის შეფასება

კვლევის შედეგების მიხედვით, კურსდამთავრებულებმა მნიშვნელოვნად შეაფასეს რამდენიმე ფაქტორი, რომლებმაც გავლენა მოახდინეს პროფესიული განათლების არჩევაზე. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგ მიზეზებს: საინტერესო სასწავლო პროგრამა ან პროფესია 91.75%, დასაქმების მაღალი შანსი კურსის დასრულების შემდეგ79.1% საგანმანათლებლო დაწესებულების კარგი რეპუტაცია88.35%, სწავლის ადგილმდებარეობის სიმარტივე და ხელმისაწვდომობა 87,86%

მშობლებისა და ახლობლების რჩევა 72% და მხარდაჭერა სწავლის საფასურის არარსებობა87%, კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა 89%.

აღნიშნული ფაქტორები კურსდამთავრებულების შეფასებით იყო „ძალიან მნიშვნელოვანი“ სწავლის გადაწყვეტილების მიღებისას, რაც მიუთითებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მის შეთავაზებულ პროგრამებზე არჩევანი გაცნობიერებულ არჩევანს წარმოადგენდა.



კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მიმართ

კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი პოზიტიურად აფასებს სასწავლო გარემოსა და სწავლის პროცესის ხარისხს. განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიენიჭა შემდეგ ასპექტებს:

სწავლების ხარისხი 94%, მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი 96%, სტუდენტებისთვის განკუთვნილი ექსტრაკურიკულური აქტივობები66% სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა 87% , საგანმანათლებლო პროცესში მრავალმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა, სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინება სასწავლო პროცესსა და მართვაში 85%, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობა შშმ და სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი და ადაპტირებული გარემო 80%.

ზემოაღნიშნული მიგნებები მიუთითებს იმაზე, რომ კურსდამთავრებულები არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ სოციალურ და გარემოსეულ კომპონენტებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროფესიული განათლების პროცესში.



სწავლისას მიღებული კომპეტენციების შეფასება

კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულებს დაესვათ კითხვა, რამდენად განივითარეს კონკრეტული უნარები და კომპეტენციები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პროცესში. პასუხები ნათლად მიუთითებს, რომ მათი დიდი ნაწილი კმაყოფილია მიღებული განათლებით და საკუთარ პროფესიულ განვითარებაში პროგრესს ხედავს.

კურსდამთავრებულთა შეფასებით, მათ საფუძვლიანად განივითარეს შემდეგი უნარები და კომპეტენციები:

პროფესიული ცოდნა – 86.89%; პროფესიული უნარები (პრაქტიკული კომპეტენციები) – 84%; გუნდური მუშაობის უნარი – 86%; სწავლის უნარი – 84%; პრობლემის გადაჭრის უნარი – 78%; ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება – 75%; შემოქმედებითი და ახალი იდეების შემუშავების უნარი – 75%; განსხვავებულ პირობებთან ადაპტაციის უნარი – 76%; მეწარმეობის უნარი – 74%; კომპიუტერული უნარები – 68%; უცხო ენა – 65%.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ პროფესიული განათლების პროგრამები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უნარების განვითარებას. კურსდამთავრებულები განსაკუთრებით დადებითად აფასებენ მათ მიერ შეძენილ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მათ მომავალ დასაქმებასა და პროფესიულ წარმატებას უქმნის მყარ საფუძველს.

სწავლით ზოგადი კმაყოფილების შეფასება

კითხვაზე კი გაიხსენეთ სწავლის პერიოდი დ შეაჯამეთ, მთლიანობაში რამდენად კმაყოფილი ხართ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, გამოკითხულთა 93% აღნიშნავს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სრულიად კმაყოფილია.

გაიხსენეთ სწავლის პერიოდი და შეაჯამეთ, მთლიანობაში, რამდენად კმაყოფილი ხართ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით?



კურსდამთავრებულთა სამუშაოს მახასიათებლები

კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში, ასევე, გვაინტერესებდა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაოს კონკრეტული მახასიათებლები. კერძოდ, დასაქმება ეკონომიკის სექტორის მიხედვით, რანგი, ხელფასი, სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი უნარების და კომპეტენციების ფლობა, ამჟამინდელი სამუშაოს შესაბამისობა პროფესიულ კვალიფიკაციასთან და კარიერული განვითარების შემდგომი გეგმები.

საინტერესო იყო კოლეჯის კურსდამთავრებულთა სტატუსი პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის. კვლევის თანახმად გაირკვა, რომ კოლეჯ „აისისა“ და მისი ფილიალების 217 მსმენელის სტატუსი პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასაქმებული იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს იყო კურსდამთავრებულთა 28%, თვითდასაქმებული იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს იყო ასევე კურსდამთავრებულთა 16%, სხვა მიმართულებით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 24%, ხოლო, თვითდასაქმებული სხვა მიმართულებით აღმჩნდა კურსდამთავრებულთა 10%, რაც შეეხება, იმ პირთა პროცენტულ რაოდენობას, რომლებიც სწავლის დაწყების მომენტისთვის არ მუშაობდნენ, იყო 30%.



სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი

გაიზარდა და სტატისტიკა დასაქმების მიმართულებით შემდეგნაირად შეიცვალა:



იმ კურსდამთავრებულთა რიცხვი, რომლებიც სწავლის დაწყების წინ იმ პროფესიით იყვნენ დასაქმებულები, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს, გაიზარდა 6%-ით და გახდა 34%, ვინც თვითდასაქმებული იყო იმავე პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს, მათი რაოდენობაც 0.5%-ით გაიზარდა და 16.5% გახდა. 4%-ით გაიზარდა სხვა მიმართულებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რიცხვიც და 32%-ს მიაღწია. ვინც თვითდასაქმებული იყო სხვა მიმართულებით, მათი რაოდენობა 2%-ით შემცირდა და გახდა 8%, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პირები პროფესიის მიმართულებით დასაქმდნენ. უმუშევართა რაოდენობაც შემცირდა და გამოკითხვის პროცესში მათი რაოდენობა 38% იყო. უმუშევრობის მიზეზად ძირითადად ოჯახური პირობები ან სწავლის გაგრძელება სახელდება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ რამდენიმე სტატუსი. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა მიმართულებით დასაქმების ზუსტი მაჩვენებლის გამოთვლა შეუძლებელია.

გამოკითხულ მსმენელთა რაოდენობა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში დასაქმების კუთხით ასე გამოიყურება: ყველაზე დიდი წილი 24,4% დასაქმებულია სასტუმრო,რესტორნები და კვების მომსახურებაში. 19,6% სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვის მიმართულებით, 9.5% განათლება, ტრანსპორტის მომსახურება 7,1% მექანიკური მიმართულებები 7,1%, ელექტროობა 7,1%, ბიზნესი და ადმინისტრირება 6.5%, ხელოვნება 5.4%, სილამაზის მომსახურება 4.8%.



გამოკითხული პროფესიული განათლების სტუდენტების პასუხების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი უმრავლესობა — 37.5% დასაქმებულია დაბალი რგოლის პოზიციებზე, რაც მიუთითებს დასაქმების სტრუქტურაში შემსრულებელი დონეების სიმრავლეზე. 25.6% მოღვაწეობს შუა რგოლის პოზიციებზე, რაც შესაძლოა მიუთითებდეს კარიერული წინსვლის შანსებზე გარკვეულ სფეროებში.

ამავე დროს, 23.8%-მა ვერ გასცა ერთმნიშვნელოვანი პასუხი,.

მხოლოდ 13.1% აღნიშნავს, რომ მუშაობს ზედა რგოლის პოზიციებზე.



ანაზღაურება

ყველაზე დიდი წილი 20.2% იღებს ანაზღაურებას 1001-დან 1500 ლარამდე, რაც შეიძლება მივიჩნიოთ საშუალო ანაზღაურებად შრომის ბაზრის ზოგად სურათთან შედარებით. 11.9% მიუთითებს ანაზღაურებაზე 101-დან 300 ლარამდე, რაც საკმაოდ დაბალი შემოსავალია 10.7% იღებს 2001-2500 ლარს, რაც მაღალი ანაზღაურების ზღვარს უახლოვდება პოზიციებზე. ანაზღაურება 301-500 ლარის ფარგლებში მიუთითა 8.9%-მა, ხოლო ზუსტად იგივე პროცენტულმა წილმა აღნიშნა 1501-2000 ლარის შუალედი. 7.7%-7.7%-იანი წილი მოდის როგორც 2501-3000 ლარზე, ისე 3001-4000 ლარზე, რაც მიუთითებს, რომ მცირე ნაწილი იღებს საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას. ყველაზე დაბალი ანაზღაურება — 100 ლარამდე — შეადგენს მხოლოდ 3%-ს, რაც კარგია იმ მხრივ, რომ მინიმალური ანაზღაურების პირობებში დასაქმებულთა რაოდენობა მცირეა. 9.5% მიუთითებს 501-1000 ლარამდე ანაზღაურებაზე. 4.8% ფიქსირდება არასრული ზღვრის (2501-3000 ლარი) კატეგორიაში.



კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი ამჟამინდელი სამუშაოს შესასრულებლად ქვემოთ წარმოდგენილი უნარების/კომპეტენციების ფლობა, კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ, დაახლოებით 80%-მა უპასუხა, რომ პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარები, უცხო ენა, კომპიუტერული უნარები, შემოქმედებითი, სწავლის, კრიტიკული აზროვნების, გუნდური მუშაობის უნარი, პრობლემების გადაჭრის უნარი და მეწარმეობის უნარი არის ძალიან მნიშვნელოვანი, მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობამ აღნიშნა რომ ამჟამინდელი სამუშაოს შესრულებისას აღნიშნული უნარები არ ჭირდებათ.



რაც შეეხება, რამდენად შეესაბამება კურსდამთავრებულთა ამჟამინდელი სამუშაო მათ პროფესიულ კვალიფიკაციას, უმრავლესობამ - 72% აღნიშნა, რომ სრულიად შეესაბამება, 29(17.3%) კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ მათი სამუშაო ითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციას, ხოლო 10.7% კურსდამთავრებულმა დააფიქსირა, რომ მათი ამჟამინდელი სამუშაო ითხოვს უფრო დაბალ კვალიფიკაციას.



კურსდამთავრებულთა შემდგომი გეგმები

კითხვაზე, რა ტიპის ცვლილებებს გეგმავთ თქვენს შემდგომ კარიერულ განვითარებაში, მონაცემების ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ყველაზე მეტი კურსდამთავრებული (58) აპირებს საკუთარი ბიზნესის დაწყებას
2. მეორე ადგილზეა დაწინაურების მოლოდინი (53).
3. მნიშვნელოვანი რაოდენობა (47) არ გეგმავს ცვლილებებს.
4. სწავლის გაგრძელებას გეგმავს 29 კურსდამთავრებული.
5. სამსახურის დაწყებას აპირებს 27 კურსდამთავრებული.
6. შედარებით ნაკლები (17) გეგმავს სამსახურის შეცვლას.
7. მხოლოდ 1 აპირებს სამსახურის მიტოვებას.



*აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის მონიშვნა. ამიტომ, ჯამური რიცხვი აღემატება რესპონდენტების საერთო რაოდენობას. ეს მიუთითებს, რომ საშუალოდ თითო რესპონდენტმა 3-4 პასუხი მონიშნა.

კითხვაზე, პროგრამის დასრულების შემდეგ გქონდათ თუ არა საჭიროება, გაგეგრძელებინათ სწავლა ქვემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებზე? პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

გამოკითხული 209 კურსდამთავრებულიდან პროფესიული ტრენინგები ან შემდგომი გადამზადების კურსები იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით გაიარა საერთო რაოდენობის 31%-მა. სხვა მიმართულებით გადამზადება აირჩია 22%-მა. რაც შეეხება დანარჩენ კურსდამთავრებულებს, მათ არ გამოუთქვამთ საჭიროება დამატებითი ტრენინგების ან კურსების გავლის თაობაზე, რაც მთლიანი რაოდენობის 45%-ს წარმოადგენს.

მონაცემები ცხადყოფს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული განათლებით და არ საჭიროებს დამატებით გადამზადებას. იმ რესპონდენტთა შორის კი, ვინც დამატებითი განათლების მიღება გადაწყვიტა, მეტმა უპირატესობა მიანიჭა იმავე ან მომიჯნავე სფეროში ცოდნის გაღრმავებას, ვიდრე სრულიად ახალი მიმართულებით გადამზადებას.



რაც შეეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებას, 25.24%-მა გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით,15%-მა აირჩია სხვა მიმართულებით სწავლის გაგრძელება. რაც შეეხება დანარჩენ კურსდამთავრებულებს (59%), მათ არ გაუგრძელებიათ სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მონაცემებიდან იკვეთება, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობას არ გაუგრძელებია სწავლა, ხოლო იმ რესპონდენტებს შორის, ვინც გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება, მცირედით მეტმა უპირატესობა მიანიჭა იგივე ან მომიჯნავე მიმართულებას სრულიად ახალ სფეროსთან შედარებით.



კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების ტენდენცია. გამოკითხულ 209 კურსდამთავრებულს შორის რესპოდენტების 25%-მა გააგრძელა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით. 15%-მა აირჩია სხვა მიმართულებით სწავლის გაგრძელება, ხოლო უმრავლესობას - 60%-ს არ გაუგრძელებია სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მონაცემები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვან ნაწილს, სურვილი ჰქონდა უმაღლესი განათლების მიღების, მათგან უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა იგივე ან მომიჯნავე მიმართულებას, ვიდრე სრულიად ახალ სფეროს.



კურსდამთავრებულთათვის პროფესიული პროგრამების სარგებლიანობის შეფასება განხორციელდა ოთხი ძირითადი მიმართულებით: ადეკვატური სამუშაოს მოძიება, სამსახურში სამუშაოს ეფექტურად შესრულება, პროფესიული კარიერული განვითარება და პიროვნული განვითარება. ყველა მიმართულებაში გამოიკვეთა მკაფიოდ დადებითი ტენდენცია.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ (80-88%) პროგრამები შეაფასა როგორც "ძალიან სასარგებლო" ყველა ზემოხსენებული მიზნისთვის. დამატებით, კურსდამთავრებულთა 9-12%-მა პროგრამა "სასარგებლოდ" მიიჩნია. მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა - რესპონდენტთა 2-3%-მა აღნიშნა, რომ პროგრამა "საერთოდ არ იყო სასარგებლო".

ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ თითოეული პროგრამა მაღალეფექტურია როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების, ისე პიროვნული და პროფესიული ზრდის თვალსაზრისით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროგრამის დადებითი შეფასება (კატეგორიები "ძალიან სასარგებლო" და "სასარგებლო" ერთად) თითოეულ მიმართულებაში აღემატება 90%-ს, რაც მიუთითებს პროფესიული პროგრამების მაღალ ხარისხსა და მის კომპლექსურ სარგებლიანობაზე მსმენელთათვის.


მთლიანობაში, რამდენად სასარგებლო იყო თქვენ მიერ გავლილი პროფესიული პროგრამა ქვემოთ წარმოდგენილი მიზნებისთვის?
1-საერთოდ არ არის სასარგებლო
2
3
4
5-ძალიან სასარგებლოა
ადეკვატური სამუშაოს მოძიებისთვის
ამჟამინდელ სამსახურში სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისთვის
თქვენი პროფესიული/ კარიერული განვითარებისთვის
თქვენი პიროვნული განვითარებისთვის
0%
30%
60%
90%
100%

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპონდენტების უმრავლესობა დადებითად აფასებს კოლეჯში მიღებულ გამოცდილებას. სტუდენტების მოლოდინები კოლეჯში სწავლის პროცესში გამართლდა, რაც უკავშირდება როგორც ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს, ისე პროფესიული რესურსების ხელმისაწვდომობას.

კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პედაგოგები კომპეტენტურები და მხარდამჭერები იყვნენ, ასევე ხაზს უსვამენ კეთილმოწყობილ გარემოსა და სწავლის ხელმისაწვდომობას.

კვლევამ გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაციაც, რაც კოლეჯს დაეხმარება პროგრამების გაუმჯობესებაში. მათ შორისაა:

ახალი კურსების დამატების საჭიროება;

პრაქტიკული სწავლის და ჯგუფური აქტივობების გაძლიერება;

მსმენელების ნამუშევრების კომერციალიზაციის ხელშეწყობა.

კურსდამთავრებულებმა ასევე დადებითად შეაფასეს თვითონ კვლევის ჩატარების ფაქტი, რომელიც, მათი აზრით, სასარგებლო პლატფორმაა მოსაზრებების გასაზიარებლად და კოლეჯის მხრიდან დაინტერესება მათ კარიერულ წინსვლაში მნიშვნელოვანია.

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულები მიიჩნევენ კოლეჯში მიღებულ განათლებას მნიშვნელოვან საფუძვლად მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების გზაზე. ამასთან, მათი რეკომენდაციები ღირებული რესურსია კოლეჯისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამების კიდევ უფრო მეტ განვითარებას და გაძლიერებას.